კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024 წელი

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

0321.1.1

მოდიფიცირებული პროგრამა

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე

ოქმი N 01-2024

17 აპრილი, 2024 წელი

აკადემიური საბჭოს დადგენილებით

N 01-2024

17 აპრილი, 2024 წელი

1. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება

ჟურნალისტიკა

Journalism

2. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური

ბაკალავრიატი

3. საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი

აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა

4. ფართო სფერო

სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია

Social Sciences, Journalism and information

5. ვიწრო სფერო

ჟურნალისტიკა და ინფორმაცია

Journalism and information

6. დეტალური სფერო

ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა

Journalism and Reporting

7. სწავლის სფერო

ჟურნალისტიკა

Journalism

8. პროგრამის მოცულობა კრედიტებით

240 კრედიტი

9. სწავლის ხანგრძლივობა

4 წელი, 8 სემესტრი

10. სწავლების ფორმა

დასწრებული

11. სწავლების ენა

ქართული

12. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ჟურნალისტიკის ბაკალავრი

Bachelor of Journalism

13. პროგრამის ხელმძღვანელი

ზაზა ცოტნიაშვილი, ჟურნალისტიკის აკადემიური დოქტორი, Ph.D, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი ჟურნალისტიკის სპეციალობით.

14. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების ატესტატის მქონე საქართველოს მოქალაქეებს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 52).

ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა დასაშვებია სწავლების პირველი აკადემიური წლის დასრულების შემდეგ. მობილობა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის აქტით დამტკიცებული სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების / თანხმობის საფუძველზე.

15. სწავლების პერიოდი და მოცულობა

- ერთი აკადემიური წელი მოიცავს **38 კვირას;**
- **I** სემესტრის ხანგრძლივობაა **19 კვირა;**
- **II** სემესტრის ხანგრძლივობაა **19 კვირა.**

აქედან:

ა) **1-15კვირა** სასწავლო პერიოდია, ტარდება ლექცია–სემინარები, პრაქტიკული მეცადინეობები, შუალედური გამოცდები, პრეზენტაციები, რეფერატების მომზადება, დაცვა და ა.შ.

ბ) **მე-16 – მე–18 კვირა** დასკვნითი გამოცდების პერიოდია;

გ) **მე–19 კვირას** ტარდება განმეორებითი გამოცდები.

16. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მოამზადოს თანამედროვე ჟურნალისტიკის სტანდარტების შესაბამისი პრაქტიკოსი ჟურნალისტი, რომელიც აღჭურვილი იქნება, ერთი მხრივ, თანამედროვე მედიასივრცისა და, მეორე მხრივ, ბაზრის მოთხოვნების შესატყვისი თეორიული ცოდნით, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პრინციპებით, პროფესიული უნარ-ჩვევებით, რომლებსაც სტუდენტი სასწავლო პროცესში გათვალისწინებული პრაქტიკული მუშაობით შეიძენს.

პროგრამა მიზნად ისახავს, სტუდენტს გამოუმუშავოს:

- ინფორმაციის მოძიების, დახარისხებისა და ობიექტურად განზოგადების, ლოგიკური და ანალიტური (კრიტიკული) აზროვნების უნარი;
- პრაქტიკოსი ჟურნალისტისთვის აუცილებელი პროფესიული წერისა და ზეპირი მეტყველების კულტურა;
- თანამედროვე ციფურული მედიატექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენების უნარები;
- რესპონდენტთან ეთიკური ურთიერთობის უნარ-ჩვევები;
- ინფორმაციის წყაროებზე მუშაობის გამოცდილება;

- ფაქტისა და მოსაზრების გამიჯვნის, დებატების, დასაბუთებული დასკვნების გამოტანის, თავისუფალი კომუნიკაციის, მასალის პრეზენტაციის, ნებისმიერ სიტუაციაში ადაპტაციის უნარები.

17. სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება	**საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს აქვს:** • ჟურნალისტიკის დარგის ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს კომუნიკატივისტიკის ძირითად პრინციპებს, კონცეფციებსა და მეთოდებს; • ქართული და უცხოური ჟურნალისტიკის ისტორიის, დარგის განვითარების ძირითადი ეტაპების, პუბლიცისტიკის ქართველი და უცხოელი კლასიკოსების შემოქმედების, მათი ოსტატობის თავისებურებების, საქმიანობის მანერის, პროფესიულ მიღწევათა შესახებ ცოდნა; • სოციალური მედიის სპეციფიკის, ჟურნალისტური პროდუქტის შექმნის და გავრცელების ბეჭდური და ციფრული ფორმების, ინტერნეტის, როგორც წყაროს, გამოწვევებისა და შესაძლებლობების ცოდნა.
უნარი	**კურსდამთავრებული ფლობს ჟურნალისტის პროფესიისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს:** • აქვს ინფორმაციის მოძიებისა და გადამოწმების (სიზუსტის, საიმედოობის, ხელმისაწვდომობის, ფაქტებისა და მოსაზრებების გამიჯვნის, მოვლენათა სხვადასხვა რაკურსით წარმოდგენისა და ფაქტების დამახინჯების შესაძლო ნეგატიური შედეგების დადგენის) უნარი; • შეუძლია სხვადასხვა ხასიათის (საინფორმაციო, ანალიტიკური, შემეცნებითი, გასართობი და სხვ.) მედიაპროდუქტის მოსამზადებლად სანდო წყაროს გამოყენება როგორც ბეჭდური, ისე სამაუწყებლო და ციფრული მედიისთვის; • შეუძლია: მედიამულტიპლატფორმებისთვის მედიური ნაწარმოების შექმნა; გადაღება და აუდიო ჩაწერების გაკეთება; მარტივი აუდიო და ვიდეომონტაჟი; ბლოგპლატფორმების, სოციალური ქსელების და სხვა თავისუფალი რესურსების გამოყენება; ვებ-გვერდების ადმინისტრირება (ატვირთვა/ჩამოტვირთვა, გამოქვეყნება, თეგებისა და კატეგორიების განსაზღვრა და ა.შ.); • აქვს პროფესიული ცოდნისა და კომპეტენციათა მუდმივად განახლება-განვითარების უნარი.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	**საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია:** • გადატვირთული ინფორმაციული ველის პირობებში დამოუკიდებლად პროფესიული ორიენტირება; • პროფესიული ეთიკის, მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის პრინციპებით მედიაპროდუქტის დამოუკიდებლად შექმნა; • კონცეფციის შემუშავების, თეზისის დასაბუთებისათვის აუცილებელ არგუმენტთა ავტონომიურად მოპოვება და გამოყენება.

18. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

„ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - 240 კრედიტი

სავალდებულო კომპონენტები: 177 კრედიტი, მათ შორის:

- საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები – **22 კრედიტი;**
- საფაკულტეტო (სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა) სავალდებულო სასწავლო კურსები – **15 კრედიტი;**
- სწავლის სფეროს (ჟურნალისტიკა) სავალდებულო სასწავლო კურსები – **140 კრედიტი;**

არჩევითი კომპონენტები: 63 კრედიტი, მათ შორის

- საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები – **10 კრედიტი;**
- საფაკულტეტო (სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა) არჩევითი სასწავლო კურსები – **8 კრედიტი;**
- სწავლის სფეროს (ჟურნალისტიკა) არჩევითი სასწავლო კურსები– **25 კრედიტი;**

თავისუფალი კომპონენტები: 20 კრედიტი

19. სწავლების მეთოდოლოგია

სწავლების პროცესში გამოიყენება მეთოდები:

ლექციებსა და სამუშაო ჯგუფში მუშაობისას:

ვერბალური მეთოდი - თემის ახსნა, გამოკითხვა, მსჯელობა, დისკუსია-დებატები, პრეზენტაცია; მოსმენა და ჩანაწერი; ამ მეთოდის გამოყენების მიზანი სტუდენტების ცოდნის გაფართოებაა. ფასილიტატორმა, შესაძლოა, ისეთი მოსაზრება გამოთქვას, რომელიც დაადასტურებს ან, პირიქით, ეჭვქვეშ დააყენებს იმას, თუ როგორ ესმით სტუდენტებს კონკრეტული გამოცდილება.

დისკუსიის მეთოდი - მეცადინეობის სააზროვნო და დაკვირვების ფაზაა. კითხვები უბიძგებს სტუდენტებს, გაიაზრონ თავიანთი ცოდნა/გამოცდილება. ხშირად, ჩვენ კრიტიკის გარეშე ვიღებთ და ვაღიარებთ საკუთარ გამოცდილებას და მხოლოდ მაშინ, როცა მას მიზანმიმართულად ვაანალიზებთ, ვწვდებით მის არსს. ასეთ შემთხვევაში მონაწილეთა გამოცდილება დისკუსიის ობიექტად იქცევა.

წერითი მუშაობის მეთოდი - პრაქტიკული მეცადინეებისთვის დავალების მომზადება, სამუშაო ჯგუფში მოხსენების/პრეზენტაციების მომზადება, ამონაწერები სახელმძღვანელოდან.

საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება (კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება–დამუშავება, სწავლის სფეროსთან დაკავშირებული პრაქტიკული ხასიათის ამოცანების შესრულება, კომპიუტერული ტექნიკისა და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით მოხსენებისთვის/პრეზენტაციისთვის საილუსტრაციო მასალის მომზადება და სხვ.)

სასწავლო პროცესში აქტიურად იქნება გამოყენებული:

პრაქტიკული მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტის იმ ადრეული ცოდნის თუ გამოცდილების გამოვლენას, რომელიც ცალკეული საგნების მიზნებს უკავშირდება და თეორიული კონცეფციების გაგება-გააზრებას უზრუნველყოფს.

პრაქტიკულ მეცადინეობებზე ხდება:

ა) ლექტორის მიერ შეთავაზებულ პრობლემაზე ინფორმაციის მოპოვება, გადამუშავება, გავრცელება; სწრაფად წერის ტრენინგი აუდიტორიაში;

ბ) პრობლემის გააზრება და საშინაო წერითი დავალების შესრულება (ჟანრებისა და ფორმების გამოყენებით), რომლის გუნდურად განხილვა-შეფასება აუდიტორიაში მოხდება;

გ) სიტუაციური სავარჯიშოები: ჟურნალისტური ტიპური პროფესიული პრობლემების მოდელირება და მათი გადაჭრის გზათა ძიება, შედეგების ანალიზი და შეფასება აუდიტორიაში.

ჩამოთვლილი მეთოდების რეალიზაციის საშუალებებია: დისკუსია, დებატები, ჯგუფური მუშაობა და თანამშრომლობითი სწავლება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, სოციოლოგიური გამოკითხვის სხვადასხვა ფორმა (კონტენტ-ანალიზი, ინტერვიუ); მოდელირებული სიტუაციური სავარჯიშოების გუნდური განხილვა; ინდუქცია-დედუქცია.

ჯგუფური **(collaborative)** მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება **(PBL),** თანამშრომლობითი სწავლება **(cooperative),** შემთხვევის ანალიზი **(Case study),** როლური და სიტუაციური თამაშები, დემონს-ტრირების მეთოდები, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ელექტრონული სწავლება.

ჟურნალისტიკის სწავლის სფეროს სასწავლო კურსების სწავლებისას სწორედ ამ ქვეპუნქტში წარმოდგენილი სასწავლო სტრატეგიების კონცენტრაციაა ყველაზე ქმედითი.

კონკრეტული **მაგალითების ანალიზი**, ე. წ. **Case Study** პრაქტიკული სწავლების ერთ-ერთ გამორჩეულად საინტერესო კომპონენტადაა მიჩნეული. სტუდენტები განიხილავენ სიტუაციებს, როდესაც ჟურნალისტს ან რედაქციას, მაგალითად, რთული ეთიკური არჩევანის გაკეთება უწევს. კონკრეტულ შემთხვევებთან მუშაობა საშუალებას გვაძლევს, დეტალურად განვიხილოთ სიტუაცია, უფრო ზუსტად გამოვკვეთოთ სხვადასხვა აზრი, გავაანალიზოთ ჟურნალისტის მოქმედების ვარიანტები, შევაფასოთ მისი გადაწყვეტილების შედეგები.

ჟურნალისტიკის შესწავლისას პროდუქტიულ შედეგს იძლევა **პუბლიკაციებისა და პრობლემური თემების განხილვა**, რასაც ჩვენი ლექტორები პრაქტიკაში ხშირად იყენებენ კიდეც.

ჟურნალისტიკის შემსწავლელთათვის განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს **მოწვეულ ექსპერტთა ლექციების** ორგანიზება. ახალი მასალის ასახსნელად ან პრობლემათა განსახილველად სპეციალისტების მოწვევა დადებითად მოქმედებს კურსის რეიტინგზე (ავტორიტეტული პირები არამხოლოდ ესაუბრებიან სტუდენტებს, არამედ თავადაც ისმენენ და აფასებენ ახალგაზრდების შეხედულებებს), რაც საშუალებას გვაძლევს, თავიდან ავიცილოთ სასწავლო კურსების მონოტონურობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ სწავლების პროცესში გათვალისწინებული იქნება დარგისა და თავად სწავლის სფეროს თავისებურებები.

20. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემა.

სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს საბოლოო შეფასება ითვალისწინებს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასებებს. შუალედური შეფასება მოიცავს ყოველკვირეულ მიმდინარე შეფასებებს და შუალედური გამოცდის შეფასებას. თითოეულ ელემენტს თავისი პროცენ-ტული წილი აქვს შეფასების საერთო სისტემაში.

ყოველკვირეული მიმდინარე შეფასების მიღება სტუდენტს შეუძლია ლექციებსა და სამუშაო ჯგუფში, სემინარებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე აქტიურობით, საშინაო დავალებების შესრულებით, კონკრეტული სიტუაციური ამოცანის ამოხსნაში მონაწილეობით, წერითი ქვიზების შესრულებით, რეფერატების მომზადებითა და პრეზენტაციებით, ინდივიდუალური თუ ჯგუფური პროექტების მომზადებითა და პრეზენტაციით და ა.შ. სტუდენტთა ცოდნის შეფასების ინსტრუმენტს წარმოადგენს გამოცდა. გამოცდამ უნდა აჩვენოს, თუ რამდენად კარგად აითვისა სტუდენტმა შესაბამისი კურსი.

უნივერსიტეტში გამოცდები ტარდება: წერითი, ასევე, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, საგამოცდო ნაშრომის პრეზენტაციის და კომპიუტერულ კლასში, ელექტრონული ფორმით.

ყოველკვირეულ მიმდინარე შეფასებებში სტუდენტს შეუძლია 40 ქულის დაგროვება;

- **თითოეულ საგანში შუალედური გამოცდა ტარდება სემესტრში ერთხელ და ფასდება 20 ქულით;**
- კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია შუალედური შეფასების ელემენტში შემავალი კომპონენტების დაზუსტება: კომპონენტების შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის წამყვანი ლექტორი;
- **შუალედურ შეფასებებში სტუდენტმა სულ შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 60 ქულა;**
- **შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 25 ქულის ტოლია;**
- **დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა, შეფასების სისტემაში მისი ხვედრითი წილი მაქსიმუმ 40 ქულაა.**
- **დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 16 ქულის ტოლია;**
- **დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება სტუდენტს,** რომელსაც **შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულების ჯამით უგროვდება მინიმუმ 51 ქულა;**

  შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

ცოდნის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები:

1. ლექციებსა და სამუშაო ჯგუფში მუშაობა (ლექციებზე, სემინარებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე აქტიურობა, საშინაო დავალებების შესრულება, კონკრეტული სიტუაციური ამოცანის ამოხსნაში მონაწილეობა, წერითი ქვიზების შესრულება, საშინაო დამოუკიდებელი დავ ალების, რეფერატების მომზადება და პრეზენტაცია, ინდივიდუალური თუ ჯგუფური პროექტების მომზადება, პრეზენტაცია და ა.შ.) – **30–34 ქულა;**

წინასწარ არჩეული თემის პრეზენტაცია, რეფერატის, ინდივიდუალური ან ჯგუფური პროექტის მომზადება და დაცვა – 6–10 ქულა;

2. შუალედურიგამოცდა – 20 ქულა;

3. დასკვნითი გამოცდა – 40 ქულა;

4. საბოლოო შეფასება – 100 ქულა.

თითოეულ დისციპლინაში მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების **ევროპული სისტემის (ECTS)** და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის **2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ შესაბამისი შეფასების შემდეგი სისტემით.**

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ქულა	შეფასება	
91-100 ქულა	A	ფრიადი
81-90 ქულა	B	ძალიან კარგი
71-80 ქულა	C	კარგი
61-70 ქულა	D	დამაკმაყოფილებელი
51-60 ქულა	E	საკმარისი
41-50 ქულა	Fx	**ვერ ჩააბარა** (სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება)
0-40 ქულა	F	**ჩაიჭრა** (სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი).

მაქსიმალური დადებითი შეფასებაა - 100 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასება - 51 ქულა.

შენიშვნა: სტუდენტს, რომელმაც ვერ ჩააბარა დასკვნითი გამოცდა და დაიმსახურა **FX შეფასება, დამატებით გამოცდაზე** გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, **ძირითადი გამოცდების შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.**

პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, გარდა ზოგადი აქტივობებისა, რაც ყველა სპეციალობის სტუდენტთა შეფასებისათვის საერთოა, ჟურნალისტიკის შემსწავლელთა დინამიკის შემოწმება განსხვავებული მოთხოვნებითაც საჭიროა.
უპირველესად, საქმე პრაქტიკული პროდუქციის: სტუდენტების მიერ მომზადებულ საგაზეთო და ჟურნალის მასალებს, რადიო და ტელე-სიუჟეტების, ასევე მეტყველების აპარატისა და ფოტოჟურნალისტიკის ცოდნის შეფასებას ეხება. ასეთი მასალების შეფასება მნიშვნელოვანია, რადგან ეს შედეგები გვიჩვენებს, თუ რამდენად გაითავისეს სტუდენტებმა ახალი, თანამედროვე კონცეფციები და რამდენად შეუძლიათ პროფესიულად შეასრულონ ჟურნალისტის მოვალეობა.

21. საშუალო აკადემიური შეფასება (GPA)

უნივერსიტეტში სტუდენტისაკადემიურიმოსწრებისდონე განისაზღვრებაროგორც სასწავლო კურსებში მიღებული ქულებით, ასევე აღნიშნული ქულების 4 ბალიანი ექვივალენტით - **საშუალო აკადემიური შეფასებით (GPA).**

22. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი / კვალიფიკაცია

ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულისთვის კვალიფიკაციის მინიჭება ხდება **საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ შესაბამისად.**

საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებს ენიჭებათ **ჟურნალისტიკის ბაკალავრის კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი** და ეძლევათ შესაბამისი საბაკალავრო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სახელმწიფო ნიმუშის დიპლომი, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დანართთან ერთად.

კვალიფიკაციის/აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 240 ECTS კრედიტის დაგროვება.

23. კვალიფიკაციის / ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის გაცემა

საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულთა დიპლომის კატეგორიის განსაზღვრისათვის მთლიანი სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ გაიანგარიშება **კუმულატიური GPA,** რის მიხედვითაც უნივერსიტეტი კურსდამთავრებულებს აძლევს შემდეგი ხარისხის დიპლომებს:

GPA 3.5 და მეტი – წარჩინების დიპლომი: კომპენტენციის მაღალი დონით და ცოდნის შემოქმედებითად გამოყენების უნარით;

ყველა საგანში დადებითი შეფასება და GPA 3.5-ზე ნაკლები- ჩვეულებრივი დიპლომი.

დიპლომის კატეგორიის შეცვლის მიზნით სტუდენტმა შეიძლება ისარგებლოს საგნის გადაბარების უფლებით, მაგრამ არაუმეტეს სამი საგნისა.

24. დასაქმების სფერო

ზემოაღნიშნული კომპეტენციებით აღჭურვილ კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება პრაქტიკული საქმიანობა გააგრძელოს ნებისმიერ პოზიციაზე, სადაც მოითხოვება ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, მათ შორის: მასობრივი ინფორმაციის ბეჭდურსა (გაზეთი, ჟურნალი) და სამაუწყებლო საშუალებებში (რადიო, ტელევიზია), ინტერნეტ-გამოცემებში, საინფორმაციო სააგენტოებში, სახელმწიფო თუ ბიზნესორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პრესსამსახურში, არასამთავრობო ორგანიზაციებში.

კომპეტენციათა რუქა

სასწავლო კურსი	კომპეტენციები		
	ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
ინგლისური ენა- 1/ინგლისური ენა- 1 დამწყებთათვის	x	x	
ინგლისური ენა- 2/ინგლისური ენა- 2 დამწყებთათვის	x	x	
ინგლისური ენა- 3 დამწყებთათვის	x	x	
საქართველოს ისტორია	x	x	
კომპიუტერული უნარები	x	x	x
წერის უნარები	x	x	
სოციოლოგიის საფუძვლები	x	x	x
კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში	x	x	x
სოციალური მეცნიერებების მონაცემთა ანალიზი - SPSS მეთოდით	x	x	x
ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი	x	x	
ქართული ენა (მორფოლოგია)	x	x	x
ქართული ჟურნალისტიკის ისტორია	x	x	
მედიასამართალი და ეთიკური რეგულირება	x	x	x

ქართული ენა (სინტაქსი)	x	x	x
ახალი ამბების ჟურნალისტიკა	x	x	x
პროფესიული ინგლისური ჟურნალისტებისთვის-1	x	x	x
მეტყველების ტექნიკა	x	x	x
ბეჭდური მედია	x	x	x
სამაუწყებლო მედია (რადიო)	x	x	x
კომპიუტერული გრაფიკა და მულტიმედია(ფოტოშოპი, ილუსტრატორი)	x	x	x
პროფესიული ინგლისური ჟურნალისტებისთვის - 2	x	x	x
ფოტოჟურნალისტიკა	x	x	x
სამონტაჟო პროგრამები	x	x	x
ანალიტიკური მედია	x	x	x
სამაუწყებლო მედია (ტელევიზია)	x	x	x
გაზეთის წარმოება	x	x	x
სატელევიზიო რეჟისურა	x	x	x
ციფრული მედია	x	x	x
ჟურნალის გამოცემა	x	x	x

შემოქმედებითი წერა ჟურნალისტებისთვის	x	x	x
აუდიო მედია და პოდკასტების წარმოება (პრაქტიკა)	x	x	x
კონვერგენტული ჟურნალისტიკა	x	x	x
ჟურნალისტური გამოძიება	x	x	x
ამბავთხრობა (სთორითელინგი)	x	x	x
ტელეგადაცემების მომზადება (პრაქტიკა სამაუწყებლო მედიაში)	x	x	x
საბაკალავრო ნაშრომი	x	x	x
ფილოსოფიის საფუძვლები	x	x	
მსოფლიო ცივილიზაციების ისტორია	x	x	
ამერიკული ლიტერატურა (კოლონიალური საწყისებიდან დღემდე)	X	X	
მეტყველება და საჯარო გამოსვლები	X	X	
მსოფლიო ლიტერატურა - თანამედროვე რომანი	X	X	
პოლონური ენა-1	x	x	
ესპანური ენა -1	x	x	
ფსიქოლოგიის საფუძვლები	x	x	
კავკასიის ხალხთა ყოფა და კულტურა	x	x	

მსოფლიო ხელოვნების ისტორია	x	x	
ინფორმაციის დამუშავების კომპიუტერული ტექნოლოგიები	x	x	x
საქმიანი ურთიერთობები და ეტიკეტი	x	x	
მსოფლიო კინოს ისტორია	x	x	x
პოლონური ენა-2	x	x	x
ესპანური ენა -2	x	x	
საზოგადოებასთან ურთიერთობის ტექნიკა	x	x	x
მედიაპროპაგანდა - ისტორიული რაკურსი და თანამედროვეობა	x	x	x
ადამიანის უფლებები და დემოკრატია	x	x	x
მოლაპარაკების მეთოდები	x	x	
ლიტერატურული მიმდინარეობებისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორია (გამოცდილებითი სწავლება)	x	x	
ეთიკა და საზოგადოებრივი ქცევის ნორმები	x	x	x
კრიტიკული აზროვნება	x	x	x
ქართული მეტყველების კულტურა	x	x	
საარჩევნო პროცესის საინფორმაციო უზრუნველყოფა	x	x	x

მედია და სახელმწიფო სტრუქტურები	x	x	x
პოლიტიკური სისტემების შედარებითი ანალიზი	x	x	x
გენდერი და პოლიტიკა	x	x	x
პუბლიცისტური აზრის ისტორია	x	x	
მასმედიის სისტემები	x	x	x
XX საუკუნის ლიტერატურული მიმდინარეობები და კლასიკოსები	x	x	x
პრაქტიკული სტილისტიკა	x	x	
საგამომცემლო სისტემები	x	x	x
კულტურის საკითხების გაშუქება	x	x	x
სატელევიზიო დოკუმენტალისტიკა	x	x	x
სატელევიზიო ოპერატურის საფუძვლები	x	x	x
კონფლიქტების გაშუქება	x	x	x
მედიამენეჯმენტი	x	x	x
პროდიუსინგი სამაუწყებლო მედიაში	x	x	x
ბავშვთა საკითხების გაშუქება	x	x	x
წერა PR-სთვის	x	x	x
საზღვარგარეთის მედია	x	x	

პოლიტიკის გაშუქება	x	x	x
რეპორტიორის ოსტატობა	x	x	x

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი + CAUCASUS INTERNATIONAL UNIVERSITY +